

მადამ ბოვარის ლიტერატურული სახის კინო ინტერპრეტაციები 30-იანი
წლებიდანდ ღემდე

ნინო ლელაშვილი

*სამაგიტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ლელაშვილი

23.06.2017

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს გუსტავ ფლობერის ნაწარმოებს „მადამ ბოვარი“ და მის კინო-ინტერპრეტაციებს 30-იანი წლებიდან 2014 წლის ჩათვლით.

რომანის პირველი ადაპტაცია გადაიღო ჟან რენუარმა 1933 წელს, მას შემდეგ არ განელეზულა ინტერესი „მადამ ბოვარის“ მიმართ და კინოს თითქმის ყველა ეპოქაში იღებდნენ მის ეკრანიზაციას.

ნაშრომი, თითოეულ ადაპტაციაზე დაკვირვებით იკვლევს, თუ რამდენად შეიძლება ლიტერატურული ნაწარმოების კინო-ეკრანიზაცია ისე, რომ მთავარი სათქმელი არ დაიკარგოს; ერთმანეთს ადარებს ხელოვნების ორ დარგს კინოსა და ლიტერატურას და პასუხობს კითხვას, თუ რამდენად ადაპტირებადია ლიტერატურა კინოში. იგი ფილმებზე დაკვირვებით ცდილობს გაარკვიოს, თუ რომელი რეჟისორი როგორ ხედავს ემა ბოვარის ისტორიას, ეპოქების ცვლასთან ერთად რამდენად იცვლებოდა „მადამ ბოვარის“ მიმართდამოკიდებულება. ნაშრომი იკვლევს, თუ რატომ არის „მადამ ბოვარი“ დღემდე აქტუალური, რა არის ამ ნაწარმოებში ისეთი, რაც არ გვაძლევს მისი დავიწყების საშუალებას.

სამაგისტრო ნაშრომი ემყარება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს ერთმანეთს შეუპირისპიროს წიგნი და მისი თითოეული ეკრანიზაცია. ამ შემთხვევაში თვალსაჩინო გახდება ყოველი დეტალი, თითოეული განსხვავება და მსგავსება. ასევე გამოიკვეთება, რომელი რეჟისორი რაზე აკეთებს აქცენტს, რა არის მოცემულ რომანში მათთვის მთავარი, როგორი დამოკიდებულება აქვთ პერსონაჟების მიმართ. ნაშრომი აკვირდება თუ რამდენად არის ფილმი თავისი ეპოქის გამოძახილი და რა ადგილი უჭირავს მას გუსტავ ფლობერისა და თითოეული რეჟისორის შემოქმედებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლიტერატურა, კინო, ადაპტაცია, რეჟისორი, წიგნი, ეკრანიზაცია.

Abstract

This master's thesis discusses the novel "Madame Bovary" written by Gustave Flaubert and its film adaptations created from 1930's to 2014.

Jean Renoire made the first adaptation of the novel in 1933. Since then, the interest towards "Madame Bovary" has been lingering, as it was produced at almost every stage of filmmaking history.

After examining each adaptation, the thesis reviews the possibility of transforming a literary novel into a film in a way that the main idea is maintained. The thesis compares two forms of art – cinematography and literature and answers the question how adaptive literature can be. Upon observing the particular movies, the thesis tries to comprehend the perspective of Emma Bovary's story, grasped by the certain directors; how the attitude towards the novel has altered through the changing epochs. The thesis researches the reasons of enduring demand of this novel, what is in the work hidden that does not allow us to forget it.

Theoretically, the thesis is based on the comparative literature methodology, which compares the novel and its adaptations. In this process, each and every detail comes to the surface, the similarities and the differences. The research will expose the accentuations put by the particular directors, the most significant events for them and their attitudes towards the characters. The thesis observes how the voice of the epoch is depicted in the film and the place it holds in the directors' as well as Gustave Flaubert's work.

Key words: literature, cinematography, film, film-adaptation, director, novel, screening.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს ნინო ფირცხალავას, გაწეული დახმარებისა და ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის, მისი თითოეული რჩევა საკვლევი თემის ახლებურად დანახვის საშუალებას მაძლევდა.

ასევე, დიდი მადლობა ჩემს მეგობარ ანას, რომელიც ყოველთვის მამხნევებდა და მეხმარებოდა სირთულეების გადალახვაში.